ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია

27.08.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №43

მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სოლში უსახელო ქუჩისთვის „ლევან ფილფანის" სახელის მინიჭების შესახებ.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 07/08/2019 წ. N-1789. წარმოდგენილიქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს ინიციატივა, გეოგრაფიულო ობიექტის: მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სოლში უსახელო ქუჩისთვის„ლევან ფილფანის" სახელის მინიჭების შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის „1"-ლი პუნქტის „ა.ე"-ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N-239 დადგენილების, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 07/08/2019 წ. N-1789 მომართვის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისის დასკნის,გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას 2021 წლის 12 აგვისტოს სხდომის ოქმი N28 შესაბამისად:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სოლში უსახელო ქუჩას მიენიჭოს „ლევან ფილფანის" სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2.მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში,უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N-239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გაგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სამისამართო რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში საბოლოო რეგისტრაციისათვის.

4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპრატს დაევალოს ამ განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გაგზავნა: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს,შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე